

## ხელისუფლების დანაწილება

### კითხვა:

რა გსმენიათ ხელისუფლების დანაწილების შესახებ?

### ხელისუფლების დანაწილების თეორიის წარმოშობა

ხელისუფლების დანაწილების თეორია, რომელიც ხშირად მოიხსენიება, როგორც ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, ძველი რომიდან იღებს სათავეს. ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯონ ლოკმა (1632-1704) და ფრანგმა განმანათლებელმა, ფილოსოფოსმა და ადვოკატმა შარლ ლუი დე მონტესკიემ (1689-1755) იდეა ხელახლა გადაამუშავეს, რითაც ხელი შეუწყვეს მის პოპულარიზაციას.

ლოკის იდეები ხელისუფლების დანაწილების საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ გადმოცემულია მის ნაშრომში „მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე“ (1690), ხოლო მონტესკიეს იდეები ხელისუფლების დანაწილებასა და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებზე გადმოცემულია რომანში „სპარსული წერილები“ და სხვა ნამუშევრებში, როგორებიც არის „რომის აღზევების და დაცემის მიზეზების გააზრება და „კანონების სული“.

ჯონ ლოკმა გამოყო ხელისუფლების ორი შტო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი. ის ფიქრობდა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდება არა მუდმივად, არამედ პერიოდულად, საჭიროებისამებრ. თუმცა, მის მიერ შექმნილი კანონები მოქმედებენ განუწყვეტლივ, შესაბამისად, საჭიროა კანონების აღსრულების კონტროლი და ამისთვის, მისი აზრით საჭიროა აღმასრულებელი ხელისუფლება.

შარლ ლუი დე მონტესკიემ გამოყო ხელისუფლების მესამე შტო, სასამართლო. მას მიაჩნდა, რომ ნებისმიერ სახელმწიფოში არის სამი სახის ხელისუფლება : საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. პირველი მათგანის ვალია შექმნას კანონები, დროებითი ან მუდმივი. მეორეს ევალება ომის გამოცხადება ან პირიქით, მშვიდობის დამყარება, აგზავნის ან იღებს ელჩებს, უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და ა.შ. მესამეს, სასამართლო ხელისუფლებას ევალება დამნაშავეების დასჯა, კერძო პირებს შორის ურთიერთობების მოგვარება.

ამ პრინციპით, ხელისუფლების შტორები დამოუკიდებელი არიან და არ ერევიან ერთმანეთის საქმიანობაში, რაც მათი ძალაუფლების ეფექტურ გადანაწილებას უზრუნველყოფს. ამ მექანიზმს გაწონასწორებისა და შეკავების მექანიზმი ეწოდება, როდესაც, ხელისუფლების შტოებს არ ეძლევათ საშუალება მოახდინონ ძალაუფლების უზურპაცია.

### **ხელისუფლების დანაწილება, როგორც დემოკრატიის მთავარი პრინციპი**

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ახასიათებს დემოკრატიულ სახელმწიფოებს. დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომ ძალაუფლების წყარო იყოს ხალხი. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია სახელმწიფოს მართვაში მიიღოს მონაწილეობა. ხალხი უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით ახორციელებს ძალაუფლებას.

უშუალოდ ქვეყნის მართვაში მონაწილეობა გულისხმობს რეფერენდუმის<sup>1</sup>, პლემბისციტის<sup>2</sup> თუ საკანონმდებლო ინიციატივის მეშვეობით ხალხის ჩართვას ქვეყნის მართვაში.

წარმომადგენლობითი დემოკრატია არის არჩევნების გზით ხელისუფლების ორგანოების ფორმირება (მაგალითად, საპარლამენტო, საპრეზიდენტო არჩევნები).

დღეს, დემოკრატიულ ქვეყნებში ხელისუფლების დანაწილება, როგორც წესი ორი პრინციპით ხდება, ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად. ჰორიზონტალური გულისხმობს საკანონმდებლო, აღმასწულებელ და სასამართლო ხელისუფლების გამოყოფას და არსებობას, ხოლო ვერტიკალური ცენტრალურ, რეგიონალურ, მუნიციპალურ და რაიონულ ხელისუფლებას.

ხელისუფლება

<sup>1</sup> რეფერენდუმი არის საერთო სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაწყვეტად.

<sup>2</sup> პლემბისციტი - საერთო სახალხო კენჭისყრის სახეობა, რომელსაც სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.



### საკანონმდებლო ხელისუფლება

ნებისმერი დემოკრატიულ სახელმწიფოში საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციაა კანონშემოქმედება პარლამენტში არჩეული დეპუტატების მეშვეობით. კანონშემოქმედება პარლამენტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა, ამასთანვე ის ამტკიცებს მთავრობას, ბიუჯეტს, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო კურსს და სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებს.

საქართველოს პარლამენტი - საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას. პარლამენტის წევრების არჩევა ხდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების მეშვეობით, ფარული კენჭისყრით. საქართველოს პარლამენტარებს ირჩევენ ოთხი წლით და მათი არჩევა ხდება პარტიული სიებისა და მაჟორიტარული ოლქებს შორის გამარჯვებულის გამოვლენის საფუძველზე.

საკანონმდებლო ხელისუფლების სახელწოდება სხვადასხვა ქვეყნებში

- გერმანია - ბუნდესტაგი;
- ესპანეთი - გენერალური კორტესები;
- რუსეთი - დუმა;
- უკრაინა - რადა;
- პოლონეთი - სეიმი;
- აშშ - კონგრესი;
- თურქეთი - მეჯლისი;

აზერბაიჯანი - მილი მეჯლისი;  
ნიდერლანდები - გენერალური შტატები;  
შვეიცარია - რიგს დაგი;  
ისრაელი -ქნესეთი.

### აღმასრულებელი ხელისუფლება

ხელისუფლების შტო, რომელიც კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე ახორციელებს ქვეყნის მართვას, პრეზიდენტი და მინისტრთა კაბინეტი. აღმასრულებელი ხელისუფლების ხელშია ქვეყნის რესურსები, ის ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში შედის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები, სამინისტროები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები.

საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი, საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოს სახელმწიფო ორგანოთა გამართულ ფუნქციონირებას. ის არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

### სასამართლო ხელისუფლება

ხელისუფლების მესამე შტოს, სასამართლო ხელისუფლებას ევალება ქვეყანაში მართლმსაჯულების აღსრულება. ხასიათდება სამი ძირითადი ნიშნით, პირველი და ძირითადი ნიშანი არის დამოუკიდებლობა დანარჩენი შტოებისგან, მეორე მნიშვნელოვანი ფუნქცია კანონდებლობის, მათ შორის კონსტიტუციური ნორმების დაცვაა. მესამე ფუნქცია არის აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე და მოქმედებებზე ზედამხედველობა და კონტროლი. საქართველოში, როგორც სხვა დემოკრატიული მმართველობის ქვეყნებში, სასამართლო ხელისუფლების სამი ინსტანცია არსებობს. ესენია : საქალაქო/რაიონული, სააპელაციო და საკასაციო (უზენაესი) სასამართლო.

**შემაჯამებელი კითხვები მოსწავლეებს:**

1. დაასახელეთ დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი პრინციპები
2. ჩამოთვალეთ ხელისუფლების შტოები და მათი ფუნქციები

**საშინაო დავალება;**

დაწერეთ ესე „ხელისუფლების დანაწილების გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე“.

**ნათია ჯიხვაშვილი; ხატია ჩხენკელი**